მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. მიხედვით იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, მაგრამ ხელმძღვანელობა დაეწმუნებულია, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია უნდა იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე მოვლენებს.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	შენიშნა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვი ლობა	მიწა	დაუმონტა ჟებული მოწყობილ ებები	ჯამი
ლარში									
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	3,247,706	3,642,084	200,408	-	235,763	-	1,902,836	19,588	9,248,386
შესყიდვა	35,259	1,617,854	23,522	-	6,765	-	-	17,101	1,700,501
გასვლა	-	25,294	2,174	-	-	-	-	34,689	62,157
გაუფასურება									-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია									-
გადაფასების რეზერვი									-
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	3,282,965	5,234,644	221,756	-	242,529	-	1,902,836	2,000	10,886,730
დაგროვილი ცვეთა									
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	88,159	701,800	40,002	-	14,547	-	-	-	844,509
ცვეთის ხარჯი	158,170	766,668	34,734	-	33,821	-	-	-	993,392
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		-	480		-				480
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	246,329	1,468,468	74,256	-	48,368	-	-	-	1,837,421
საბალანსო ღირებულება									
2018 წლის ბოლოს	3,159,547	2,940,284	160,406	-	221,216	-	1,902,836	19,588	8,403,877
2019 წლის ბოლოს	3,036,636	3,766,176	147,500	-	194,161	-	1,902,836	2,000	9,049,309

6. არამატერიალური აქტივები.

არამატერიალური აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად.

ლარი	პროგრამები ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2018 წლის ბოლოს	-	-	-
შემოსავლა	2,200		2,200
გასვლა	-		-
2019 წლის ბოლოს	2,200	-	2,200

	პროგრამები ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია			
2018 წლის ბოლოს	-	-	-
პერიოდის ამორტიზაცია	303		303
გასულის დაგროვილი ამ	-		-
2019 წლის ბოლოს	303	-	303

	პროგრამები ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო რირებულება			
2018 წლის ბოლოს	-	-	-
2019 წლის ბოლოს	1,898	-	1,898

7 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს მზა პროდუქციას, დაუმთავრებელ წარმოებას და ნედლეულს წარმოებისთვის, რომლის ძირითადი სახეობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქცია	31,705	10,149
ნედლეული	471,791	582,954
დაუმთავრებელი წარმოება	289,014	74,624
სხვა მარაგები	20,565	24,214
	813,075	691,941

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს რეზიდენტ ბანკებში მიმდინარე ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში, აშშ დოლარში, ევროში და თურქულ ლირაში არსებულ ფულად სახსრებს.

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

	31/12/2019	31/12/2018
ნაღდი ფული სალაროში	3,430	39
მოთხოვნამდე ანგარიშები ლარებში	145,913	2,780
მოთხოვნამდე ანგარიშები აშშ დოლარი	42,315	185,879
მოთხოვნამდე ანგარიშები ევრო	13	12
მოთხოვნამდე ანგარიშები თუქული ლირა	37	242,185
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები		
სულ	191,707	430,895

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,501	154,181
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	-	-
გადახდილი ავანსები	715,849	1,012,068
სხვა მოთხოვნები	480	640
	717,830	1,166,889

10. გადახდილი ავანსები

	31/12/2019	31/12/2018
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	715,849	1,012,068
გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვი	-	-
სულ	715,849	1,012,068

11. მისაღები დივიდენდები და პროცენტები

გადახდილ ავანსებზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხული პროცენტები

	31/12/2019	31/12/2018
მისაღები დივიდენდები	-	-
მისაღები პროცენტები (შენიშვნა 21)	16,009	-
	16,009	-

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო ვალდებულებები	880,817	1,722,791
გადასახელი ხელფასები	93,721	18,084
ვალდებულება პერსონალის წინაშე	965	835
სხვა ვალდებულებები	2,362	-
	977,865	1,741,710

13. ამონაგები

ამონაგები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2019	31/12/2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	7,268,617	5,197,644
სხვა საოპერაციო შემოსავალი	164,525	135,109
	7,433,142	5,332,752

14. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2019	31/12/2018
მეორადი ნედლეულის გადაფასება	29,550	12,251
შემოსავალი EBRD		300,668
შემოსავალი საბანკო დეპოზიტიდან	1,009	1,355
შემოსავალი (აწარმოე საქართველოს მიერ გადახდილი სესხის %)	151,092	483,763
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	911	
სულ	182,562	798,037

15. რეალიზირებული მზა პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები

	31/12/2019	31/12/2018
რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება	4,958,905	4,541,648
წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება	286,399	134,538
	5,245,304	4,676,186

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2019	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	610,476	498,909
ცვეთა და ამორტიზაცია	993,694	791,518
საგადასახადო ხარჯი	76,036	59,483
საკონსულტაციო ხარჯი	-	-
რემონტის ხარჯი	-	-
ბანკის მომსახურება	6,612	4,986
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-
იჯარის ხარჯი	4,866	14,407
ტრანსპორტირების ხარჯები	51,119	27,522
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	136,002	115,892
კომუნიკაციის ხარჯები	5,010	5,715
კომუნალური ხარჯები	-	-
დაზღვევის ხარჯი	36,752	10,500
საკანცელარიო ხარჯი	3,169	2,239
	1,923,737	1,531,169

17. სხვა შემოსულობა (ზარალი)-ნეტო

კურსთაშორის სხვაობით მიღებული შედეგი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2019	31/12/2018
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(826,683)	(233,929)
სულ	(826,683)	(233,929)

18. მიღებული სესხები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული სესხები წარმოდგენილია ერთეულ ლარებში

	გრძელვადიანი	
	31/12/2019	31/12/2018
ბანკის სესხები	9,238,375	8,228,486
დაკავშირებული მხარეების სესხები	3,406,262	2,555,066
ოვერდრაფტები		
სულ სესხები	12,644,637	10,783,552

გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

19. ფინანსური დანახარჯები

ფინანსური დანახარჯები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2019	31/12/2018
ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	952,789	1,000,386
სულ ფინანსური დანახარჯები	952,789	1,000,386

20. ფინანსური ინსტრუმენტები და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები. აგრეთვე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას წარმოეშობა რისკები არის შემდეგი:

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
სესხები	12644636	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		977865
2019 წლის ბოლოს	12644636	977865

ფინანსური აქტივები

ლარი	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი აქტივები
------	--------------------------	--------------------------

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	191707
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1501
გადახდილი ავანსები	715848
მისაღები პროცენტები	16009
2019 წლის ბოლოს	- 925065

ფინანსური ვაქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდურნი ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, მენეჯმენტის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელებზე.

მენეჯმენტის საერთო მიზანია ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე.

თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა უფრო დეტალურად განხილულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ახალი მომხმარებლების შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/ დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში). კომპანია მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკს მომხმარებლებისთვის საკრედიტო ლიმიტების დაწესებით და აღნიშნული ლიმიტების მონიტორინგით.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	გადახდილი ავანსები	მისაღები პროცენტები	ჯამი
ვადადაუმდგარი და გაუფასურების გარეშე	191,707	1501		16009	209217
ვადადამდგარი და გაუფასურების გარეშე			715849		715849
ვადაგადაცილება 0-30 დღე	-				0
ვადაგადაცილება 31-90 დღე					0
ვადაგადაცილება 91-180 დღე					0
ვადაგადაცილება 181-360 დღე					0
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით					0
სულ ფინანსური აქტივები გაუფასურებამდე	191,707	1,501	715,849	16,009	925066
გაუფასურების რეზერვი					0
სულ ფინანსური აქტივები	191,707	1,501	715,849	16,009	925066

კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს დებიტორული დავალიანების ვადიანობის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

კომპანიის მენეჯმენტი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინების საფუძველზე ანაზღაურებას, განიხილება თითქმის შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, კომპანია გამოცდილებით იმედოვნებს, რომ ბევრი მომწოდებელი ერთდროულად არ მოითხოვს ვალდებულებების დაფარვას.

კომპანიის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე ფინანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	0-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები ბანკისგან		0	9,238,375		9238375
მიღებული სესხები მეკავშირე საწარმოსგან				3406262	3406262
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	97,048	880817			977865
სულ დაუდისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	97048	880817	9238374.79	3406262	13622502

კომპანიის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ დაუდისკონტირებელი ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე, ფინანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება მათ საბალანსო ღირებულებას:

	0-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები ბანკისგან	0	0	9238375	0	9238375
მიღებული სესხები მეკავშირე საწარმოსგან	0	0	0	3406262	3406262
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	97048	880817	0	0	977865
სულ დაუდისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	97048	880817	9238375	3406262	13622502
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტი	191,707				191,707
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,501				1,501
გადახდილი ავანსები	715849				715,849
მისაღები პროცენტები	16009				16,009
სულ ფინანსური აქტივები	925,066	0	0	0	925,066
ლიკვიდურობის სხვაობა	828,018	-880,817	-9,238,375	-3,406,262	-12,697,436
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	828,018	-52,800	-9,291,174	-12,697,436	

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზის ცხრილიდან ჩანს, რომ აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა უარყოფითი მაჩვენებელია გრძელვადიან პერიოდში. ეს ფაქტი გამოწვეულია ბანკიდან და მეკავშირე საწარმოსგან აღებული სასესხო ვალდებულებიდან, რაც

მენეჯმენტის გათვლებით მსოფლიო პანდემიის დასრულების და შემოსავლების გაზრდის ფონზე დაიფარება.

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან-სესხებთან მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორე ვალუტის ფასის ცვლილებით. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებების სავალუტო რისკის სტრუქტურას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	თურქული ლირა	სულ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8	149,343	42315	13	37	191,708
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	-	-	-	1501	1,501
გადახდილი ავანსები		-	-	-	715848	715,848
მისაღები პროცენტები		-	-	-	16009	16,009
სულ ფინანსური აქტივები		149,343	42315	13	733395	925,066

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	თურქული ლირა	სულ
სესხები		3,172,149	4251614	5220874	-	12,644,637
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	284,635	67482	0	14748	366,865
სულ ფინანსური ვალდებულებები		3,456,784	4319096	5220874	14748	13,011,502
ღია სავალუტო პოზიცია			-4276781	-5220861	718647	

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის, ევროს და თურქული ლირას ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ

ინფორმაციის მიწოდებისას, და მენეჯმენტის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისათვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2019 წელი	
	ზეგავლენა საკუთარ
	მოგება/ზარალზე კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(855356)
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	855356
ევროს გამყარება 20%-ით	(1044172)
ევროს დასუსტება 20%-ით	1044172
თურქული ლირას გამყარება 20%-ით	143729
თურქული ლირას დასუსტება 20%-ით	(143729)

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და ა.შ.. საბაზრო მოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი
- კონტროლების და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასანეიტრალეზად საჭირო კონტროლების პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ფასს მსს -ის 33-ე განყოფილებაში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ზ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ საანგარიშო პერიოდისთვის დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები შეიძლება წარმოადგენდეს იყოს შემდგენილი

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:
საქონლის მიწოდება

	2019	2018
მეკავშირე საწარმო	7,268,617	5,373,216
სულ	7,268,617	5,373,216

საქონლის მიწოდება მოხდა საბაზროპირობებით

ნედლეულის შესაძენად განხორციელებული გადხდა:

	2019 წ. 31 დეკემბრის მდგომარე ობით	2018 წ. 31 დეკემბრის მდგომარე ობით
მეკავშირე საწარმო	715,848	1,007,068
სულ	715,848	1,007,068

გადხდომისას დროულად პროცენტ საბაზროგანაკვეთით

საქონლისა და მომსახურების შეძენა:

	2019	2018
<i>საქონლის შეძენა</i>		
მეკავშირე საწარმო	4,878,736	5,626,878
<i>მომსახურების შეძენა</i>		
დამფუძნებლის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო	-	293,301
სულ	4,878,736	5,920,179

მეკავშირე საწარმოსგან და დამფუძნებლის კონტროლქვეშ მყოფი საწარმოსგან საქონლის შეძენა მოხდა საბაზრო პირობებით დამფუძნებლის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო წარმოადგენს სამშენებლო კომპანიას რომელიც ეკუთვნის დამფუძნებელ კომპანიის ერთერთდამფუძნებელს. .

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაჯგუფება ნაშთები:

	2019	2018
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი		
მეკავშირე საწარმო	1,501	154,181
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 13)		
მეკავშირე საწარმო	537,491	1,377,023
დამფუძნებლის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო	200,296	200,296
სულ	739,288	1,731,500

მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები. მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საეჭვო ვალების ხარჯები არ აღიარებულა.

დაკავშირებული მხარეებისადმი ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

მეკავშირე საწარმოდან მიღებული სესხები

	2019	2018
მიღებული სესხები:		
საწყისი ნაშთი	2,555,066	1,240,333
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	4,054,852	1,344,948
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	3,203,657	30,215
დარიცხული პროცენტი	244,096	216,998
დაფარული პროცენტი	150	-
სულ პერიოდის ბოლოს (სესხის ძირი და პროცენტი)	3,650,207	2,772,064

მეკავშირე საწარმოდან მიღებული სესხებისთვის ანარიცხები არ აღიარებულა.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2019	2018
შრომის ანაზღაურება მთლიანად	61,151	35,000
სულ	61,151	35,000

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მიღებული ახალი დაფინანსება

შპს “ფელინ გლობალ” –მა ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე დამატებით აიღო სესხი სს თი ბი სი ბანკში 590 000 ევროს ოდენობით ძველი სესხის რეკონსტრუქტურიზაციისთვის.

კოვიდ-19-ის ზეგავლენა

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არსებობს პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების მასშტაბების და ქართულ ეკონომიკაზე მისი გავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა. კოვიდ-19-ის ინფიცირების პირველი შემთხვევა საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. საქართველოს მთავრობამ გაატარა კოვიდ-19-ის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. კომპანია აკონტროლებს კოვიდ-19 გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა. მოსალოდნელია, რომ კოვიდ-19-ის გავრცელებას საქართველოსა და გლობალურად უარყოფითი გავლენა ექნება ეკონომიკაზე, თუმცა ძალიან ადრეა იმისათვის, რომ სრულად გავიაზროთ ის გავლენა, რომელიც შესაძლოა ჰქონდეს ვირუსს სასმელი მსუბუქი მრეწველობის საქმიანობაზე. კომპანია კოვიდ-19-ის ვირუსის გავრცელებას მიიჩნევს საბალანსო უწყისის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად. ხელმძღვანელობამ კოვიდ-19-ის გავლენა გაითვალისწინა ფუნქციონირებადი საწარმოს შეფასებაში (შენიშვნა 2.2.)

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 7 დეკემბერს.

შპს “ფელინ გლობალ”
მმართველობის ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგაროშო
პერიოდისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.....	3
1. შესავალი.....	4
2. საქმიანობის მიმოხილვა.....	4
3. რას ვსაქმიანობთ.....	6
4. ჯანსაღი გარემო შრომისათვის.....	12
5.ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე.....	13
6.სამომავლო გეგმები.....	17
7.ჩვენი გუნდი.....	17
8. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.....	17
9. ნარჩენების მართვა.....	18
10.ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	18
11.ინფორმაციას კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	19
12.საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....	19
13.კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა.....	19
14.ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები.....	19

შპს „იოანე და კომპანია“

ს/ნ 415086604 ტელ: 555199111 EMAIL: IOANEDACOMPANIA@GMAIL.COM

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „ფელინ გლობალ“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ არ გამოვთქვით მოსაზრება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 10 დეკემბერს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას. აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და

- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა რისკის მართვის სტრატეგიებისა, მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ოლეგი ნაჭყებია (SARAS-A-346157) -----

შპს იოანე და კომპანია-ს (SARAS-F-237088) სახელით

ქ. ფოთი მ. კაცაძის ქუჩა N26/7

10 დეკემბერი 2020

შპს „იოანე და კომპანია“

ს/ნ 415086604 ტელ: 555199111 EMAIL: IOANEDACOMPANIA@GMAIL.COM

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „ფელინ გლობალ“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ არ გამოვთქვით მოსაზრება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 10 დეკემბერს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას. აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და

- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა რისკის მართვის სტრატეგიებისა, მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ოლეგი ნაჭყებია (SARAS-A-346157)

შპს იოანე და კომპანია-ს (SARAS-F-237088) სახელით

ქ. ფოთი მ. კაცაძის ქუჩა N26/7

10 დეკემბერი 2020

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ არსებით კომპონენტებს, როგორცაა საქმიანობის შინაარსი და მომსახურების სტანდარტები, მოიცავს კომპანიის როგორც განვლილ პერიოდს, ასევე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა.

2. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ფელინ გლობალ“-ი დაფუძნებულია 2016 წლის 9 სექტემბერს, 01.01.2020 წლის მდგომარეობით საწარმოს დამფუძნებლები არიან:

1-ს.ნ 215116032, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ესპერანსი“-46%

2-52648559914, იაშარ არაბაჯი, თურქეთი -23%

3-67687030096, ჰაკან კაპიჯიოღლუ, თურქეთი-23%

4-45244762666, მაჰმუთ ქაან გუნალ, თურქეთი-8%

როგორც ზემოთ აღინიშნა, საწარმო დაფუძნებულია 2016 წელს ქართველი და თურქი პარტნიორების მიერ. საქმიანობის სფეროს არჩევისას მათი ერთობლივი გადაწყვეტილება განაპირობა ქ. ფოთში სიახლის შემოტანის სურვილმა-შეექმნათ მაღალ სტანდარტებზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამრეწველო საწარმო. დღეის მდგომარეობით ჩვენს საწარმოში წარმოებული მაღალხარისხიანი ნაქსოვი ტრიკოტაჟული ნაწარმი, რომლის ეტიკეტზე მითითებულია „დამზადებულია საქართველოში“ იგზავნება ექსპორტზე, რაც გარდა იმის რომ ზრდის საქართველოს, როგორც სამრეწველო ქვეყნის ცნობადობას, ამავდროულად ქმნის ჩვენს ქალაქში ესოდენ აუცილებელ დამატებით სამუშაო ადგილს. საწარმოში დასაქმებულია 250-მდე პირი, მათგან 99% ადგილობრივი მუშახელია. საწარმოს ამოქმედების შემდგომ ახალი სასიცოცხლო ფუნქცია შეიძინა ქალაქის გარეუბანმა-ნაბადამ, გაუმჯობესდა მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურაც.

საწარმო წარმოადგენს „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარს, გარდა ამისა, ჩვენი საწარმო გახლდათ **EU4BUSINESS EBRD** მცირე და საშუალო ბიზნესის საკრედიტო ხაზის აპლიკანტი, რომლის პირობების დაკმაყოფილებითა და ხელშეწყობით

Doc. No. 15-699-H71
Rev. 0 – February 2018

EU4BUSINESS EBRD
Credit Line
Finance and Advisory Programme supporting SMEs

EBRD London, UK

**EU4BUSINESS EBRD Credit
Line
Georgia**

**INVESTMENT PLAN
including Compliance
Audit and Alignment
Plan
Company: LTD PELIN
GLOBAL, Poti -
Februaruy 2018**

This document has been produced with the financial assistance of the EU4Business Initiative of the European Union. The views expressed herein are those of the Consultant and can therefore in no way be taken to reflect the official opinion of the EBRD and European Union

Prepared by

Alexander Pogosian

- Local Environmental and H&S Expert

Revaz Enukidze

- Local Environmental and H&S Expert

Giorgio Bonvicini

- International PQS Expert

Giovanni Vaccari

- Deputy Project Manager

Controlled by

Massimo Bianchi

- Project Manager

Danilo Bosia

- Project Director

Approved by

Giovanni Battista De Franchi

- Business Unit Manager

Rev.	Description	Prepared by	Controlled by	Approved by	Date
0	First Issue	A. Pogosian / R. Enukidze / G. Bonvicini / G. Vaccari	M. Bianchi / D. Bosia	G.B. De Franchi	February 2018

All rights, including translation, reserved. No part of this document may be disclosed to any third party, for purposes other than the original, without written consent of RINA Consulting.

კომპანია ორიენტირებულია სერვისის ხარისხზე, სისწრაფეზე და უსაფრთხოებაზე, რაც მთავარი ფაქტორია კლიენტთა ნდობისა და წარმატების მოპოვებისათვის, ამასთანავე კომპანია მუდმივად ისწრაფვის დანერგოს ინოვაციური ინფრასტრუქტურა და მაქსიმალურად აუწყოს ფეხი ახალ გამოწვევებს, რაც მიზანად ისახავს მომხმარებელთათვის მაქსიმალურად და გამარტივებულად ეფექტური სერვისის შეთავაზებას.

ჩვენი თანამშროლობა ეფუძნება ნდობის, პასუხისმგებლობის და პატივისცემის პრინციპებს.

3. რას ვსაქმიანობთ

შპს „ფელინ გლობალ“-ში საწარმოო პროცესები ხორციელდება თითქმის დღიდან დაფუძნებისა, სამუშაო ბაზარზე კვალიფიციური მუშახელის არასებობის გამო პირველი შეკვეთის მიღებამდე ალტერნატიულ ფართში განხორციელდა მაღალტექნოლოგიურ დანადგარებთან მუშაობის დაწყებისთვის აუცილებელი კადრების სწავლების და გადამზადების რთული და შრომატევადი პროცესი. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა ფაბრიკის სამრეწველო შენობის მშენებლობის, ახალი დანადგარების შეძენა-დამონტაჟების და რეალიზაციის პროცესი.







დღეის მდგომარეობით, შპს „ფელინ გლობალ“-ი წარმოადგენს 23216 კვ/მ ტერიტორიაზე განლაგებულ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ საფეიქრო მრეწველობის საწარმოს, რომლის საწარმოო მუშა ფართი შეადგენს 5739 კვ/მ ფართობს



საწარმოს საკუთრებაშია SHIMA SEIKI -ი უახლესი მოდელის ბრტყლადსაქსოვი მანქანები, სხვადასხვა ფუნქციის საკერავი, საქარგავი, ღილის და ძაფის სახვევი, ლაქი ამომყვანი, სარეცხი და საშრობი მანქანები, საპრეს-საუთავებელი დანადგარები.







აუცილებელი ნედლეულის იმპორტირების შემდგომ წარმოების პროცესში ხორციელდება შემდეგი სახის სამუშაოები:

1-საქსოვ-საკერავი ძაფის მომზადება-მშრალ სანთელში გატარება, საქსოვ დანადგარებზე დამაგრება, სვიტერის დეტალების ქსოვა, მოქსოვილი დეტალებიდან მუშა დეტალის ჩამორღვევა

2- სვიტერის დეტალებზე ავერლოკის გაკეთება

3-დეტალების რეცხვა სარეცხ მანქანაში

4-დეტალების შრობა საშრობ მანქანაში

5-დეტალებზე ლოგოს დაქარგვა

6-დეტალებიდან სვიტერის აწყობა და შესაკერად ჩაშვება-კერვა

7-სვიტერის მანეკენზე შემოწმება ხარვეზის დასადგენად

8-ეტიკეტების დამაგრება-ზომის, მოვლის, შტრიხკოდის, წარმოშობის ,ფასის ეტიკეტები

9-სვიტერის გატარება ორთქლის საპრეს უთოში, ხელის უთოთი დაუთავება

10-ვიზუალური კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში ლაქის ამოყვანა სპეციალური ხსნარით

11-სვიტერის დაკეცვა, ჩასაფენი ქაღალდის ჩადება და პარკში მოთავსება

12-მზა სვიტერის შემოწმება მეტალოდეტექტორზე

13-შემოწმებული სვიტერის ჩალაგება სეპარაციით გაყოფილ მუყაოს ყუთებში

14-საექსპორტო საქონელზე ქართული წარმოშობის EUR-1 სერტიფიკატის გაკეთება.

4. ჯანსაღი გარემო შრომისათვის

კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

საქართველოს კანონის „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ გაცემული მითითებების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შპს „ფელინ გლობალ“-ის მიერ საწარმოში საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ იქნა დოკუმენტი თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის შესახებ.

გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრთან“. ხელშეკრულების ფარგლებში ნიმუშის აღების გზით განხორციელდა საწარმოში წყლის, ჰაერის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები მაფარმის და მტვერის შემცველობაზე.

გაფორმდა ხელშეკრულება სს „მახვილადის სახელობის შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან“. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა პროფესიული რისკ ფაქტორების შეფასება, კერძოდ შემოწმდა ფიბროგენული მტვერი, მიკროკლიმატი (ჰაერის ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე), ხმაური, განათება, მავნე ქიმიური ნოვითიერებების ზეგავლენა.

საწარმოში დამონტაჟდა და გამართულად ფუნქციონირებს სავენტილაციო სისტემა, რომელიც წელიწადის თბილ დროში სამრეწველო საწარმოს ჟანგბადით გამდიდრებულ გრილ ჰაერს აწოდებს. საწარმოში ბუნებრივ აერაციაზე ხელშეწყობა ხორციელდება ჭერზე დამონტაჟებული ავტომატური სავენტილაციო ლუქების მეშვეობით.

სამუშაო ადგილზე ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია სამუშაო ტანსაცმლით და პერსონალური დაცვის აღჭურვილობით: ნიღაბი, ფარი, ხელთათმანი.

აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

5. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს „ფელინ გლობალ“ -ი ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ფოთის პირველ პოლიკლინიკასთან“, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება დასაქმებულთა წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება პროფესიულ დაავადებათა პრევენციის მიზნით. სამედიცინო მომსახურება მოიცავს თერაპევტის, ოკულისტის, ოტოლარინგოლოგის კონსულტაციას და

სისხლის საერთო ანალიზს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დამატებით ამბულატორიულ კონსულტაციებსა და კვლევებს.

შ.პ.ს „ფელინ გლობალ“-ის საწარმო უზრუნველყოფილია ვიდეო კონტროლის კამერებით, რომლებიც განთავსებულია მთელ ტერიტორიაზე როგორც ყველა შემოსასვლელ-გასასვლელში ასევე საწყობებსა და ყველა გადატვირთვის ადგილებზე. ხდება ვიდეო მასალის ჩაწერა და მისი შენახვა .

საწარმოს შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და განგაშის ხმოვანი თანამედროვე სისტემით.

საწარმოში საფრთხეების იდენტიფიცირების და რისკის შეფასების მართვის მიზნით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რისკების შეფასებაში ჩვენს საწარმოში დასაქმებულ პირთა მონაწილეობა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგანაც იმ რისკების შეფასება უნდა მოვახდინოთ, რომლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან მომუშავეები. შეაფასებისა და დასახული ღონისძიებების განხორციელებისას ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ მათი მოსაზრებების გაზიარებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოს ყავს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი და მასთან ერთად ორი სპეციალურად გადამზადებული სერტიფიცირებული თანამშრომელი. საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით აღნიშნული ჯგუფის მიერ განხორციელდა რისკების ფიზიკური ფაქტორების, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების, უბედური შემთხვევების ფაქტორების, ერგონომიკის , ფსიქოლოგიური ფაქტორების კვლევა.

მათი რეკომენდაციით გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახურთან“. გადამოწმდა საქსოვ-საკერავი, ძალოვანი მანქანა დანადგარების, ძაფის დასარღვევი და დასახვევი მანქანების, მეტალო დეტექტორის, დამიწების წრედების, განშტოებების და ელექტრო სისტემების მონტაჟის და უსაფრთხოდ ექსპლუატაციის , ასევე სამუშაო რეჟიმის გამართულობა.

საწარმოში პერიოდულად ხორციელდება ტრენინგი სახანძრო უსაფრთხოებაში, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფორმირებულობას საგანგებო სიტუაციის დროს მოსალოდნელი რისკების და ქცევის წესების შესახებ. თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, ცეცხლმაქრები და გამართულად მუშაობს ავტომატიზებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა.

					დოკ.ნომერი : რევ. ნომ/თარიღი: ნომერი:			რისკის ანალიზის თარიღი 11 / 01 /2019 პირველადი ანალიზი							
რისკების ანალიზი							5								
რისკის ნო	განყ	საფრთხის ფოტო	საფრთხის განმარტება	რისკი	იქცეონებს გავლენას	არსებული ზომები	-	(წ) შესაძლებლობა	(ა) სიხშირე	(ბ) მალა	(რ=წ*ა*ბ) რისკი				
ფაბ - 9	შიდა		საგანგებო მდგომარეო ბის დროს გასასვლელ ი გზები არის ჩახერგილი	განგაში ს გამოცხა დების დროს, მომუშა ვე პერსონ ალს შეუფერ ხდება სწრაფი მოძრაო ბა გასასვ ლელზე ისაკენ	მომსახურე პირებზეზე	აუცილებლა დ გასუფთავდ ეს და მოწესრიგდ ეს სწრაფი მოძრაობიის ათვის სამოძრაო გზები	5					5	4	100	რისკის კლასი (პრიორიტეტუ ლი სტატუსი)
ფაბ - 10	შიდა		არ იყენებს საკერავ დანადგა რზე თვალის დამცავ მინას	ხშირია შემთხვ ევა ნემსის გატეხვ ისას თვალი ს დაზიან ებისა	მომსახურე პირებზე	ჩაუტარდე თ სწავლება და აეხსნათ დამცავი მინების აუცილებლ ობა	10					4	10	400	საშუალო რისკი
		რისკის გამოსწორების გეგმა (მიღებულ ზომების დანგაროშების გეგმა)						რისკის გამოსწორების თარიღი 26.02.2019 მეორადი ანალიზი							
რისკის ნო	განყ	ზომების მიღების შემდეგ ფოტო	დამსაქმებლის (V.) მხმრიდან მიღებული ზომები		რისკის დაშვების შედეგი (შედეგი)	±		(წ) შესაძლებლობა	(ა) სიხშირე	(ბ) მალა	(რ=წ*ა*ბ) რისკი				
ფაბ - 9	გარე		გამოსწორებულია		-		1					10	1	10	რისკის კლასი (პრიორიტეტუ ლი სტატუსი)
ფაბ - 10	გარე		გამოსწორებულია		-		0					0	0	0	დაბალი რისკი
კომისია		დამსაქმებელ ი (დამსაქმებლი ს წარმომადგენე ლი)	უსაფრთხოების სპეციალისტი		სამუშაო ადგილის ექიმი	მომუშავე თა წარმომად გენელი / განყოფილ ების ხელმძღვან ელი	დამხმარე დასაქმებული								
თარიღი				1/11/2019											

სახელი, გვარი		ზაალ ხურციძე			
ხელმოწერა					

საწარმოში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების სამედიცინო დანიშნულების მედიკამენტებით, კაბინეტს ემსახურება სერტიფიცირებული მედიცინის მუშაკები.

საწარმოში განხორციელდა ყველა თანამშრომლის დატრენინგება შრომის უსაფრთხოების წესებზე, პერიოდულად ტარდება მათი გადამზადება მანქანა-დანადგარებთან უსაფრთხოდ მუშაობის უზრუნველსაყოფად.



საწარმოში ასევე ფუნქციონირებს შიდა დაცვის სამსახური, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებით, რაც უზრუნველყოფს საწარმოს მაქსიმალურად უსაფრთხო საქმიანობას და მისი არსებობის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი და

პრეტენზია კლიენტების მხრიდან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მაღალკვალიფიციურ და ეფექტურ მომსახურებას.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

6.სამომავლო გეგმები

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ შ.პ.ს „ფელინ გლობალ“-ი მუდმივად ზრუნავს მისი ბიზნესის განვითარება გაფართოებაზე, ის ახორციელებს ინვესტიციებს და ზრდის მის არეალს, თუმცა მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო სამომავლო გეგმებში შევიდა მნიშვნელოვანი კორექტირებები.

7.ჩვენი გუნდი

შ.პ.ს „ფელინ გლობალში“ დასაქმებულია დაახლოებით 230 ადამიანი. უამრავი კანდიდატიდან კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულ წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი და ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის.

კომპანია იზიარებს და იღებს პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ.

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ. ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

გენ.დირექტორი საზოგადოების მართვას ახორციელებს დამტკიცებული სტრუქტურის მეშვეობით

8. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე და გამუდმებით ვცდილობთ, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი გარემოსდაცვითი

საქმიანობის მაჩვენებლები. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ჩვენ ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). საწარმოს ყავს გარემოს დაცვითი მენეჯერი. გარემოს მაქსიმალურად დაცვისთვის შემუშავებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, რომელიც შეთანხმებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

9. ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ. სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად. გარემოს დაცვითი მენეჯერის მეშვეობით იდენტიფიცირებულია, ხოლო სახიფათო ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებულია და შეთანხმებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

კანონის შესაბამისად ხორციელდება საწარმოო ნარჩენების სეპარირება, მათ გატანაზე ხელშეკრულება გაფორმებულია ადგილობრივ მომსახურე საწარმოსთან. არასახიფათო-მუნიციპალური ნარჩენის გატანა-ტრანსპორტირება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სერვისების ცენტრის მიერ, ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო მონიტორინგის ჯგუფი სისტემეტიურად ახდენს არსებული რისკის

მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

მსოფლიოში პანდემიის ფონზე მოსალოდნელზე დაბალმა ეკონომიკურმა ზრდამ შესაძლოა მიგვიყვანოს მოსალოდნელზე დაბალ რეალიზაციამდე. კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ნაწარმის ექსპორტზე გატანა. კომპანია რეალიზაციას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში, კერძოდ თურქულ ლირაში, შესაბამისად სავალუტო კურსების რყევებმა ფინანსურ ბაზრებზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს (საანგარიშო პერიოდში უკვე იქონია გავლენა) კომპანიის საოპერაციო ფულად ნაკადებზე;

საწარმოს გააჩნია COVID-19 ვირუსის გავრცელებით გამოწვეული საოპერაციო რისკები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენ მოახდინოს კომპანიის ამონაგებზე, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებაზე და ასევე მარაგებისა და გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ზრდაზე.

პანდემიის გამო დამკვეთების მხრიდან წარმოებაზე მოთხოვნის შემცირება, გამოიწვევს ბაზრის წილის დაკარგვას, რომლის ნიშნებიც უკვე თვალსაჩინოა.

11. ინფორმაციას კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ
კომპანიას ფილიალები არ ყავს

12. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია
კომპანიაში საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ქონია.

13. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა
კომპანიის კვლევები არ უწარმოებია.

14. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 27 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი ----- ანჟელა ჭანტურია

მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.
სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

მსოფლიოში პანდემიის ფონზე მოსალოდნელზე დაბალმა ეკონომიკურმა ზრდამ შესაძლოა მიგვიყვანოს მოსალოდნელზე დაბალ რეალიზაციამდე. კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ნაწარმის ექსპორტზე გატანა. კომპანია რეალიზაციას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში, კერძოდ თურქულ ლირაში, შესაბამისად სავალუტო კურსების რყევებმა ფინანსურ ბაზრებზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს (საანგარიშო პერიოდში უკვე იქონია გავლენა) კომპანიის საოპერაციო ფულად ნაკადებზე;

საწარმოს გააჩნია COVID-19 ვირუსის გავრცელებით გამოწვეული საოპერაციო რისკები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენ მოახდინოს კომპანიის ამონაგებზე, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებაზე და ასევე მარაგებისა და გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ზრდაზე.

პანდემიის გამო დამკვეთების მხრიდან წარმოებაზე მოთხოვნის შემცირება, გამოიწვევს ბაზრის წილის დაკარგვას, რომლის ნიშნებიც უკვე თვალსაჩინოა.

11. ინფორმაციას კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ
კომპანიას ფილიალები არ ყავს

12. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია
კომპანიაში საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ქონია.

13. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა
კომპანის კვლევები არ უწარმოებია.

14. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 27 ნოემბერს შემდეგი ბირის მიერ:

დირექტორი ----- ანჟელა ჭანტურია